

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად
წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2010 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	1
ანგარიშგება ერთობლივი შემოსავლის შესახებ	2
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	3
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	შესავალი ნაწილი	5
2	ეკონომიკური გარემო	5
3	მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4	მნიშვნელოვანი შეფასებები და პროფესიონალური მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	16
5	ახალ და რედაქტირებულ სტანდარტებსა და განმარტებებზე გადასვლა	17
6	ახალი სააღრიცხვო დებულებები	21
7	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26
8	სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	27
9	სხვა აქტივები	29
10	ძირითადი საშუალებები	30
11	გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი	31
12	სადაზღვევო ზარალის რეზერვი	32
13	სადაზღვევო კრედიტორული დავალიანება	33
14	სხვა ვალდებულებები	34
15	საწესდებო კაპიტალი	34
16	აკვიზიციური ხარჯები	34
17	საოპერაციო ხარჯები	35
18	მოგების გადასახადი	36
19	პრემიისა და ზარალის ანალიზი	38
20	სადაზღვევო და ფინანსური რისკების მართვა	40
21	კაპიტალის მართვა	46
22	პირობითი ვალდებულებები	46
23	შეფასებითი კატეგორიებით ფინანსური ინსტრუმენტების კლასების შეჯერება	47
24	ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	48
25	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	48
26	ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები	49

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“-ს აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

1. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით წარმოდგენილ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული თარიღით ამოწურული წლის ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებას, და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

2. ხელმძღვანელობას აკისრია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“-ს შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და ობიექტურად წარმოდგენის პასუხისმგებლობა. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს გაყალბებისა თუ ცდომილების საფუძველზე წარმოქმნილი, არსებითი მცდარი მონაცემების არმქონე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ჯეროვნად წარმოდგენასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენდამი დაკისრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაფუძნებული დასკვნის წარმოდგენა. ჩვენს მიერ აუდიტი ჩატარებულ იქნა „საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტები“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე გვაკისრია ეთიკური ნორმების დაცვით წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი მცდარი მონაცემების არარსებობის დადასტურების უზრუნველყოფის მიზნით მოცემული აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების ვალდებულება.

4. აუდიტი მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და ინფორმაციის შესახებ აუდიტორული მონაცემების მოპოვების მიზნით შესაბამისი პროცედურების ჩატარებას. შერჩეული პროცედურები დამოუკიდებელია აუდიტორის პროფესიონალურ მსჯელობაზე ფინანსური ანგარიშგების გაყალბებისა თუ ცდომილების საფუძველზე არსებითი მცდარი წარმოდგენის რისკების შეფასების ჩათვლით. ამგვარი რისკების შეფასებისას, აუდიტორის მიერ განხილულ იქნა შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული სუბიექტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ჯეროვნად წარმოდგენასთან, არსებული გარემოებებისადმი შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების და არა სუბიექტის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის მიზნით. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობისა და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენის შეფასებას.

5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მონაცემები ხასიათდება ჩვენი აუდიტორული დასკვნის საფუძვლის სახით განხილვისათვის საჭირო საკმარისობითა და შესაბამისობით.

დასკვნა

ჩვენს დასკვნაში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტებთან მიმართებით ობიექტურად ასახავს „კომპანიის“ 2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ ფინანსურ მდგომარეობას, და აღნიშნული თარიღით ამოწურული წლის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებს, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“-ს შესაბამისად.

2011 წლის 18 ივლისი
თბილისი, საქართველო

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
 თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

	შენიშვნა	2010 (გადაანგარიშებული)	2009	2008
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	4,445,824	2,046,379	1,781,570
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	8	3,117,131	6,637,345	1,332,283
გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		880,491	1,909,056	402,999
გადამზღვევლების წილი სადაზღვევო ზარალის რეზერვში	11			
	12	21,546	146,476	-
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	16	11,215	39,635	73,044
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		2,488	-	-
გადავადებული სადაზღვევო აქტივი	0	13,167	18,673	-
სხვა აქტივები	9	64,256	346,177	162,313
ძირითადი საშუალებები	10	78,369	57,303	58,435
არამაჭირილორი აქტივები		2,823	3,174	1,000
სულ აქტივები		8,637,310	11,204,218	3,811,644
ვალდებულებები				
გამომუშავებული პრემიის რეზერვი	11	3,169,146	5,820,798	1,298,327
სადაზღვევო ზარალის რეზერვი	12	2,280,744	1,078,698	119,159
სადაზღვევო კრედიტორული დავალიანება	13	1,353,872	2,392,407	436,508
გადავადებული საკომისიო შემოსავალი		82,673	80,860	66,436
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება		-	114,523	-
სხვა ვალდებულებები	14	149,880	86,032	85,590
სულ ვალდებულებები		7,036,315	9,573,318	2,006,020
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი (დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	15	2,500,000 (899,005)	1,500,000 130,900	1,500,000 305,624
სულ კაპიტალი		1,600,995	1,630,900	1,805,624
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,637,310	11,204,218	3,811,644

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2011 წლის 18 ივლისს:

ზაზა ხოსროშვილი
 დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ელდარ თუფურია
 ბუღალტერი

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“
ანგარიშგება ერთობლივი შემოსავლის შესახებ
 თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

	შენიშვნა	2010	2009 (გადაანგარიშებული)
მოზიდული პრემია (ბრუტო)	19	2,309,723	10,386,370
გადამზღვევლებისთვის გადაცემული პრემია	19	(221,507)	(2,927,998)
პრემია (ნეტო)		2,088,216	7,458,372
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში, ბრუტო	11	2,651,652	(4,522,471)
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლების წილში	11	(1,028,565)	1,506,057
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში, ნეტო		1,623,087	(3,016,414)
გამომუშავებული პრემია (ნეტო)	19	3,711,303	4,441,958
ანაზღაურებული ზარალი (ბრუტო)	19	(2,514,297)	(2,091,260)
გადამზღვევლებისთვის გადაცემული ზარალი	19	133,788	-
ანაზღაურებული ზარალი, გადამზღვევლების წილის გარეშე		(2,380,509)	(2,091,260)
ცვლილება ზარალის რეზერვში, ბრუტო	12	(1,202,046)	(959,538)
ცვლილება ზარალის რეზერვში გადამზღვევლების წილში	12	(124,930)	146,476
ცვლილება ზარალის დაფარვის რეზერვში, ნეტო		(1,326,976)	(813,062)
დამდგარი ზარალი (ნეტო)	19	(3,707,485)	(2,904,322)
საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის კონტრაქტებზე		161,414	154,815
აკვიზიციური ხარჯები	16	(29,784)	(218,669)
საოპერაციო ხარჯები	0	(1,151,426)	(611,407)
რეზერვი გაუფასურებაზე	8, 9	(88,380)	(124,484)
უცხოური ვალუტის გაცვლით ოპერაციებზე ხარჯები შემოსავლების გამოვლებით		9,908	-
სხვა სადაზღვევო შემოსავალი		25,667	17,700
საპროცენტო შემოსავალი		225,601	234,245
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(843,182)	989,836
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე ხარჯები მოგების გადასახადზე	0	(843,182)	989,836
		(186,723)	(164,560)
(ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში		(1,029,905)	825,276
სხვა ერთობლივი შემოსავალი		-	-
სულ ერთობლივი (ზარალი)/ შემოსავალი წლის განმავლობაში		(1,029,905)	825,276

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი დეფიციტი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2009 წლის 1 იანვრისთვის არსებული მდგომარეობით	1,500,000	305,624	1,805,624
სულ ერთობლივი შემოსავალი 2009 წლის განმავლობაში (გადაანგარიშებული)	-	825,276	825,276
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,000,000)	(1,000,000)
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1,500,000	130,900	1,630,900
სულ ერთობლივი შემოსავალი 2010 წლის განმავლობაში	-	(1,029,905)	(1,029,905)
გადახდილი კაპიტალი (მე-15 განმარტებითი შენიშვნა)	1,000,000	-	1,000,000
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით	2,500,000	(899,005)	1,600,995

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
 თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

	შენიშვნა	2010	2009
		(გადაანგარიშებული)	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(843,182)	989,836
შესწორებები:			
ცვეთა	0	22,655	49,638
ამორტიზაცია	0	337	260
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	11	(2,651,652)	4,522,471
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლების წილში	11		
ცვლილება ზარალის რეზერვში	12	1,028,565	(1,506,057)
ცვლილება ზარალის რეზერვში გადამზღვევლების წილში	12	1,202,046	959,539
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში	16	124,930	(146,476)
ცვლილება გადავადებულ საკომისიო შემოსავალში		28,420	33,409
საკურსო სხვაობები		1,813	14,424
სადაზღვევო დებიტორული დავალიანების რეზერვი		(9,908)	-
		88,380	124,484
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		(1,007,596)	5,041,528
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
სადაზღვევო ვალდებულებების წმინდა (კლება)/ მატება		(1,053,009)	1,899,682
სადაზღვევო დებიტორული დავალიანების წმინდა კლება/ (მატება)		3,449,302	(5,730,261)
წინასწარი გადახდების წმინდა (მატება)/კლება		(1,383)	51,471
სხვა აქტივების წმინდა კლება		281,921	116,852
სხვა ვალდებულებების წმინდა მატება		63,848	63,396
გადახდილი მოგების გადასახადი		(296,845)	(127,016)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,436,238	1,315,652
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა		(43,707)	(50,843)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(43,707)	(50,843)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან მფლობელების წილობრივი მონაწილეობა გადახდილი დივიდენდები	15	1,000,000	-
		-	(1,000,000)
ფინანსური საქმიანობიდან /(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		1,000,000	(1,000,000)
გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		6,914	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა მატება ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,399,445	264,809
		2,046,379	1,781,570
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულს	7	4,445,824	2,046,379

1 შესავალი ნაწილი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელიწადთან მიმართებით, შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“-სთვის (შემდგომში - „კომპანია“).

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“ დაფუძნებულ იქნა 2007 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „კომპანია“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. „კომპანიის“ 100%-ის მფლობელია სს „პრივატბანკი“ (საქართველო).

2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით სს „პრივატბანკი“-ს (საქართველო) აქციონერია „პრივატბანკი“ (უკრაინა) (შემდგომში - „სათაო ბანკი“), რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს აქციების 76.3158% და Unimain Holdings Limited-ი, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს აქციების 23.6842% (2009: 100%). 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით „პრივატბანკი“-ს (უკრაინა) მთავარ აქციონერებს წარმოადგენდნენ უკრაინის ორი მოქალაქე: ბ-ნი ი. კოლომოისკი და ბ-ნი გ. ბოგოლიუბოვი, რომლებიც 2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით, შესაბამისად, ფლობდნენ გამოშვებული აქციების 49.15% (2009: 49.15%) და 49.00% (2009: 49.00%) და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენდა „ბანკი“-ს ერთპიროვნულად მაკონტროლირებელ მხარეს.

ძირითადი საქმიანობა. „კომპანია“ ეწევა ძირითადად საქართველოში იურიდიული და ფიზიკური პირების სადაზღვევო მომსახურებას, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის დაზღვევას: ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, ფინანსური რისკებისგან დაზღვევა, საბანკო გარანტიები, უბედური შემთხვევებისგან და ტურისტული დაზღვევა.

2010 წელს, „კომპანიის“ თანამშრომლების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 26 (2009: 36).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია:

საქართველო, 0119, თბილისი, წერეთლის გამზირი №114

„კომპანიის“ საქმიანობის განხორციელების ადგილია საქართველო.

წარდგინების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში (შემდგომში „ლარი“, „GEL“), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას.

2 ეკონომიკური გარემო

საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ გაუმჯობესებას, ქვეყნის ეკონომიკაში აღინიშნება განვითარებადი ბაზრის გარკვეული ნიშნები, მათ შორის, საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყნებში არათავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის არსებობა, საჯარო და კერძო სავალო ინსტრუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ლიკვიდურობის დაბალი დონე.

ამასთანავე, სადაზღვევო სექტორი საქართველოში იმყოფება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და მარეგულირებელი ხასიათის მოვლენების ზეგავლენის ქვეშ. საქართველოში ეკონომიკური სტაბილურობა ფართოდ დამოკიდებულია მთავრობის მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზე. ადგილი აქვს ფინანსურ და ეკონომიკურ გარემოში არაპროგნოზირებადი ცვლილებების წარმოქმნის შესაძლებლობას, რამაც შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა არ ფლობს შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვროს მომავალი ეკონომიკური სირთულეების მოცულობა და ხანგრძლივობა, და, შესაბამისად, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი მაკორექტირებელი ხასიათის არანაირი მონაცემები, რომლებიც შესაძლოა მიღებულ იქნას შესაბამისი საკითხების მომავალში

2 ეკონომიკური გარემო (გაგრძელება)

გადაჭრის შედეგად, ამგვარი, მაკორექტირებელი ხასიათის მონაცემები, მათი არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნება „კომპანიის“ მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაში, მათი მოპოვების და სათანადო შეფასების შემდეგ.

მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული არასტაბილურობა. არსებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკვეთრი ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და 2008 წლის შუა პერიოდიდან გამოიწვია ფინანსურ და კორპორაციულ სექტორებში მდგომარეობის გაუარესება.

2009 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნებოდა გაუმჯობესების გარკვეული ნიშნები, თუმცა კვლავ ადგილი ჰქონდა არსებულ გარემოში სუსტი მხარეების შენარჩუნებას ექსპორტის ბაზრის ზრდისა და კერძო კაპიტალის შემოდინებების კუთხით ცალსახა გაუმჯობესებების არარსებობის პირობებში. ამასთანავე, ადგილობრივი დაკრედიტების სფეროში კვლავ აღინიშნებოდა გარკვეული შეზღუდვები, მიუხედავად საპროცენტო განაკვეთების ოდენობების შემცირების ტენდენციისა. ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის შემდეგ ხელისუფლების მიერ დაშვებულ იქნა გარკვეული პერიოდების განმავლობაში სავალუტო კურსში ცვლილების შეტანა გარე ცვლილებების ხელშეწყობის მიზნით, თუმცა პერიოდულად ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე არსებულ მძიმე პირობებში სავალუტო კურსის დარეგულირების მიზნით.

2010 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნებოდა გარკვეული ხასიათის გაუმჯობესებები, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს საბანკო სექტორში დადებით ტენდენციებში, და რასაც თან სდევდა სამშენებლო, საბანკო და სამთო მრეწველობის დარგებში ეტაპობრივი ზრდა, ასევე როგორც ექსპორტთან, ფიზიკური პირების ფულად გზავნილებსა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების რაოდენობის მატება, რასაც ხელი შეუწყო სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ოდენობის შემცირებამ და ეკონომიკის სექტორის დაკრედიტების პირობებში პოზიტიურ ტენდენციებმა. მიუხედავად ამისა, უცხოური ინვესტიციების ნაკლებობამ და უცხოურ ბაზრებზე არსებულმა არასტაბილურობამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ექსპორტისა და ტურიზმის დარგებზე და გამოიწვია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორთან მიმართებით რეფინანსირების ხარჯების ოდენობის ზრდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განიცდის მრავალი სახის განმარტებებისა და ხშირი ცვლილებების ზეგავლენას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება ფართოდ დამოკიდებულია მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ასევე როგორც საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური სფეროებისა და საკითხების მომდევნო განვითარებაზე.

ხელმძღვანელობა არ ფლობს შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, და, შესაბამისად, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის დებულობს არსებულ პირობებში „კომპანიის“ საქმიანობის მდგრადობისა და ზრდის ხელშეწყობისთვის ყველა საჭირო ზომას.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) შესაბამისად, გასული პერიოდის განმავლობაში ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის წესების თანახმად. აღნიშნული პრინციპები გამოყენებულ იქნა მთლიან წარმოდგენილ პერიოდთან მიმართებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

„კომპანია“ აწარმოებს თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს და წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტაციას ქართულ ლარებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრული, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ზემოაღნიშნული საბუთების საფუძველზე და კორექტირებულ იქნა „ფასს“-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

„ფასს“-ის თანახმად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული კრიტიკული ბუღალტრული შეფასებების გამოყენება. ასევე, ხელმძღვანელობის მხრიდან სავალდებულო საკუთარი მსჯელობის გამოყენება „კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. მაღალი დონის მსჯელობისა თუ სირთულის, ასევე როგორც ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ხასიათის მატარებელი დაშვებებისა და შეფასებების სფეროები წარმოდგენილია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

წინამორბედი პერიოდების ცდომილებები და შეცდომები. „კომპანია“ აწარმოებს წინამორბედი პერიოდების მნიშვნელოვანი ცდომილებებისა და შეცდომების გასწორებას ფინანსურ ანგარიშგებაში რეტროსპექტულად, იმ წარმოდგენილი წინამორბედი პერიოდის შედარებითი მაჩვენებლების გადათვლის საფუძველზე მათი გამოვლენის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც წარმოიქმნა აღნიშნული ცდომილებები და შეცდომები, ხოლო თუ მათ წარმოქმნას ადგილი ჰქონდა ყველაზე შორეული წინამორბედი პერიოდის განმავლობაში - ამგვარი ყველაზე შორეული წინამორბედი პერიოდის შესაბამისი აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადათვლის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ რეტროსპექტულად შესწორებულ იქნა შეცდომები, რომლებიც გამოვლენილ იქნა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგების შემდეგ მუხლებში:

	წარმოდგენილი	გადაანგარიშებული	შედეგი მონაც. შეუსაბამ. შესახებ/(მოთხ.ცვ ლილ.შესახებ)
ანგარიშგება ერთობლივი შემოსავლის შესახებ	2009	2009	
მოზიდული პრემია (ბრუტო)	8,187,719	10,386,370	(2,198,651)
გადამზღვევლებისთვის გადაცემული პრემია ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში, ბრუტო	(729,347)	(2,927,998)	2,198,651
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში, ბრუტო	(3,012,551)	(4,522,471)	1,509,920
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლების წილში	(3,862)	1,506,058	(1,509,920)
ცვლილება ზარალის რეზერვში, ბრუტო	(813,062)	(959,538)	(146,476)
ცვლილება ზარალის რეზერვში გადამზღვევლების წილში	-	146,476	146,476
	2009 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი	
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	6,092,739	6,637,345	544,606
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება			
გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	399,136	1,909,056	1,509,920
გადამზღვევლების წილი			
სადაზღვევო ზარალის რეზერვში	-	146,476	146,476
სხვა აქტივები	890,783	346,177	(544,606)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	4,310,878	5,820,798	(1,509,920)
სადაზღვევო ზარალის რეზერვი	932,222	1,078,698	(146,476)

გადაანგარიშების წარმომქნელი შეცდომების ხასიათის აღწერა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, შესაბამისი კორექტირებული მუხლების თანმიმდევრობით:

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შეცდომა
ანგარიშგება ერთობლივი შემოსავლის შესახებ მოზიდული პრემია (ბრუტო)	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
გადამზღვევლებისთვის გადაცემული პრემია	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში, ბრუტო	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლების წილში	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
ცვლილება ზარალის რეზერვში, ბრუტო	შემცირებული შეცდომის შედეგად
ცვლილება ზარალის რეზერვში გადამზღვევლების წილში	შემცირებული შეცდომის შედეგად
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	შემცირებული ცდომილებითი კლასიფიკაციების შედეგად
გადამზღვევლების წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
სადაზღვევო ზარალის რეზერვში	შემცირებული შეცდომის შედეგად
გადამზღვევლების წილი	
სხვა აქტივები	გაზრდილი ცდომილებითი კლასიფიკაციების შედეგად
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	შემცირებული ნეტო-საფუძველზე ცდომილებითი წარმოდგენის შედეგად
სადაზღვევო ზარალის რეზერვი	შემცირებული შეცდომის შედეგად

2009 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით ნაშთებთან მიმართებით განმარტებითი მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება გადაფასებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არაგადაანგარიშებულ მუხლებთან დაკავშირებით განმარტებითი მონაცემების არწარმოდგენა არ ატარებს მნიშვნელოვან ხასიათს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

შეფასების ძირითადი პარამეტრები. კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს ასახულია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გაცვლა ან ვალდებულების შესრულება გათვითცნობიერებულ, მსურველ მხარეებს შორის დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებული გარიგებისას. რეალური ღირებულება წარმოადგენს მყიდველის მიმდინარე ფასს აქტივებთან მიმართებით და გამყიდველის მიმდინარე ფასს ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც კოტირებული არიან აქტიურ ბაზარზე. კომპენსირებადი საბაზრო რისკების მქონე აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით „კომპანიას“ შეუძლია ისარგებლოს საშუალო საბაზრო ფასებით, კომპენსირებადი რისკის მქონე პოზიციებთან მიმართებით რეალური ღირებულებების დადგენის საფუძვლის სახით, და, სათანადო შემთხვევებში, წმინდა ღია პოზიციასთან მიმართებით გამოიყენოს მყიდველის ან გამყიდველის ფასები. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულის სახით, თუ კოტირებული ფასები მზა და რეგულარული სახით ხელმისაწვდომია ბირჟიდან ან სხვა რაიმე დაწესებულებიდან, და ამგვარი ფასები წარმოადგენენ ბაზარზე ფაქტიურად და რეგულარულად არსებული, დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებულ გარიგებებს.

შეფასების მეთოდები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან მოდელები, რომლებიც ეფუძნება დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებულ უკანასკნელ გარიგებებს ან ინვესტიციების მიმდებარე მიერ განხილულ ფინანსურ მონაცემებს, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად, რომლებთან მიმართებითაც არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ბაზრის გარეთ არსებული ფასების

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შესახებ. შეფასების მეთოდებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ისეთი სახის დაშვებების გამოყენება, რომლებიც არ დასტურდება განხილული საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი მონაცემების ასახვა წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დაშვებების რაიმე ჯეროვანი შესაძლო ალტერნატივით ჩანაცვლების შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

თვითღირებულება წარმოადგენს ნაღდი ფულის ან მისი ეკვივალენტის სახით გადახდილ თანხას ან სხვა სახის ანაზღაურების რეალურ ღირებულებას, რომელიც გადახდილ იქნა აქტივზე მისი შეძენის დროს, და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს. თვითღირებულებით შეფასება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციებთან მიმართებით, რომლებსაც არა აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი, და რომელთა რეალური ღირებულების დადასტურებით შეფასება ატარებს შეუძლებელ ხასიათს, ასევე როგორც იმ წარმოებულ ინსტრუმენტებში ინვესტიციებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია ამგვარ არაკვოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებთან და ექვემდებარება დაფარვას მათი გადაცემით.

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენენ დამატებით ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯი წარმოადგენს ისეთი სახის ხარჯს, რომელიც შესაძლოა არ ყოფილიყო გაწეული გარიგების განუხორციელებლობის შემთხვევაში. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისადმი (მათ შორის გაყიდვების აგენტის სახით მოქმედი თანამშრომლებისადმი), კონსულტანტებისადმი, ბროკერებისადმი და დილერებისადმი გადახდილ გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, და ასევე მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მიერ დადგენილ მოსაკრებლებს, და საკუთრების გადაცემაზე გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს და ვალებზე დისკონტებს, ფინანსირებაზე გაწეულ ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობაზე ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას აღიარებულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტი, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, მაგრამ დაგროვილი პროცენტის ჩათვლით, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, გაუფასურებით გამოწვეულ ზარალზე ნებისმიერი ჩამოწერის გამოკლებით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯებისა და დასაფარ თანხაზე ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ამორტიზებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი პროცენტებით შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, როგორც დაგროვილი კუპონი, ასევე ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში) არ აისახება ცალცალკე, არამედ ჩართულია ბალანსის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში განაწილების მეთოდს, საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით მუდმივი საპერიოდო საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) დადგენის მიზნით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომლითაც წარმოებს ფინანსური ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებამდე მისი სავარაუდო მოქმედების ვადის ან, შესაბამის შემთხვევებში, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მოსალოდნელი მომავალი ნაღდი გადახდების ან შემოდინებების (საკრედიტო დანაკარგების გარდა) ზუსტი დისკონტირება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით წარმოებს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტების გადაფასების შემდგომ თარიღამდე, გარდა იმ პრემიებსა და დისკონტებთან მიმართებით, რომლებიც ასახავს შესაბამის ინსტრუმენტში მითითებული ცვალებადი განაკვეთის მეტი ოდენობის საკრედიტო სპრედს, ან იმ სხვა ცვალებადების ფულად ნაკადებს, რომლებიც არ არიან შეცვლილი საბაზრო განაკვეთების შესაბამისად. ამგვარი პრემიებისა თუ დისკონტების ამორტიზება იწარმოება შესაბამისი ინსტრუმენტის მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების დაანგარიშება მოიცავს გარიგების მხარეების მიერ გადახდილ ან მათ შორის მიღებულ ყველა საზღაურებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდი).

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულად სახსრებს, ბანკებში მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები და დებიტორული დავალიანება. სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არაკვოტირებულ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან დადგენილი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვას „კომპანია“ გეგმას უახლოეს მომავალში. სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

რეზერვი საკრედიტო რისკებით გამოწვეულ გაუფასურებაზე ყალიბდება, თუ ადგილი აქვს ობიექტურ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ „კომპანიას“ არ ექნება შესაძლებლობა, ამოიღოს მისაღები თანხები თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობების თანახმად. რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სხვაობას საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელ ამოღებად თანხას შორის, რომელიც დაანგარიშებულია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სახით.

ჩამოწერის შემდეგ წარმოქმნილი გარემოების შედეგად გაუფასურებაზე რეზერვის თანხის შემცირების შემთხვევაში, რეზერვის სტორნირება წარმოებს გაუფასურებაზე რეზერვის ფარგლებში, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორული დავალიანების ამოღება ატარებს შეუძლებელ ხასიათს, წარმოებს მისი ჩამოწერა გაუფასურებაზე შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. ამგვარი თანხების ჩამოწერა წარმოებს ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და შესაბამისი ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, წარმოებული და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. რეალური ღირებულება თავდაპირველ აღიარებაში საუკეთესო სახით დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს სხვაობას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დადასტურება შესაძლებელია სხვა შემოწმებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებებით იმავე ინსტრუმენტებთან, ან შეფასების რაიმე სხვა მეთოდით, რომლის მნიშვნელობები მოიცავს მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს.

ფინანსური აქტივების ყველა შემენა და გაყიდვა, რომელიც საჭიროებს რაიმე ნორმის ან საბაზრო გარიგების (ჩვეულებრივი ფორმის შექმნები და გაყიდვები) თანახმად დადგენილი ვადის განმავლობაში გადაცემას, აღიარებულია გარიგების დღით, რომელიც წარმოადგენს დღეს, როდესაც „კომპანია“ კისრულობს ფინანსური აქტივის გადაცემის ვალდებულებას. ყველა სხვა შემენის აღიარება წარმოებს, როდესაც სუბიექტი ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარე.

დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, როგორც დაგროვილი კუპონი, ასევე ამორტიზებული დისკონტი, ჩართულია ბალანსის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზებისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით, შესაბამის შემთხვევებში.

მცირე სარემონტო სამუშაოებისა და მომსახურების ხარჯების გაღება წარმოებს მათი წარმოქმნის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილებისა და კომპონენტების შეცვლის ხარჯები ექვემდებარება კაპიტალიზებას, ხოლო შეცვლილი ნაწილები კი - ამოღებას.

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაუსრულებელი მშენებლობა ასახულია თვითღირებულებით. დასრულებისას, აქტივების გადატანა ხორციელდება ძირითადი საშუალებების კატეგორიაში, საბალანსო ღირებულებით. დაუსრულებელი მშენებლობა არ ექვემდებარება ამორტიზებას შესაბამისი აქტივების ექსპლუატაციაში ჩაშვების მომენტამდე.

იჯარით აღებული საკუთრების გაუმჯობესებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზებისა და გაუფასურებაზე რეზერვის გამოკლებით, შესაბამის შემთხვევებში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ხელმძღვანელობა ადგენს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირების რაიმე ნიშნებს. რაიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც გაყიდვაზე ხარჯების გამოკლებით აქტივის რეალური ღირებულებისა და მისი გამოყენებული ღირებულების უმაღლესი ოდენობის თანხა. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებადი ღირებულების ოდენობამდე, ხოლო ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზარალის აღიარება წარმოებს ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, ოდენობით, რომლითაც ის აღემატება კაპიტალში წინამორბედი გადაფასებიდან შემოსავალს. ღირებულების შემცირებით გამოწვეული, წინამორბედ წლებში აღიარებული ზარალი ექვემდებარება უკუგატარებას, თუ აქტივის გამოყენებული ღირებულების ან გაყიდვაზე ხარჯების გამოკლებით რეალური ღირებულების დადგენისათვის გამოყენებულ შეფასებებში ადგილი ჰქონდა რაიმე მომდევნო ცვლილებას.

თვითღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით ამონაგების შედარების საფუძველზე დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს მოგებას ან ზარალში.

ცვეთა ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილებულ იქნას მისი ღირებულება მის ნარჩენ ღირებულებებზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადებთან მიმართებით:

– კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	4-5 წელი
– ავეჯი, აპარატურა და სხვა აღჭურვილობა	4-5 წელი
– სატრანსპორტო საშუალებები	5-6 წელი
– იჯარით აღებული საკუთრების გაუმჯობესება	7 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შეფასებული თანხით, რომელიც შესაძლოა მიმდინარედ მიღებულ ყოფილიყო „კომპანიის“ მიერ აღნიშნული აქტივის გასხვისებიდან, გასხვისებაზე შეფასებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში, რომ აღნიშნული აქტივის ასაკი და მდგომარეობა ყოფილიყო მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვისათვის არსებული ასაკისა და მდგომარეობის შესაბამისი. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ „კომპანია“ გეგმავს მის გამოყენებას მისი ფიზიკური ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

არამატერიალური აქტივები „კომპანიის“ არამატერიალურ აქტივებს გააჩნია სასარგებლო მომსახურების დადგენილი ვადები, და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

შემენილი პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიები ექვემდებარება კაპიტალიზებას მათ შემენასა და ექსპლუატაციაში ჩაშვებაზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით. მოდერნიზების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია „კომპანიის“ მიერ კონტროლირებულ აღრიცხვად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან აისახება არამატერიალური აქტივების სახით იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ხარჯებზე მეტი ოდენობის დამატებითი ეკონომიკური სარგებლის საფუძველზე წარმოქმნილი შემოდინება. პროგრამულ უზრუნველყოფებთან დაკავშირებული ყველა სხვა, მაგალიდათ, მისი მომსახურების, ხარჯების გაწევა წარმოებს მათი წარმოქმნისას. კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფები ექვემდებარება ამორტიზებას წრფივი მეთოდის

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საფუძველზე, სამიდან ოთხ წლამდე ოდენობის სასარგებლო მომსახურების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა. იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანია“ გამოდის მოიჯარის სახით საიჯარო გარიგებაში, რომლითაც მეიჯარისაგან „კომპანიაზე“ არსებითად არ გადადის მფლობელობაზე ყველა რისკები და შემოსავლები, ყველა საიჯარო გადახდა აისახება ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

საწესდებო კაპიტალი. „კომპანიის“ გამოცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება „კომპანიის“ წესდებით. „კომპანიის“ წესდებაში ცვლილებების (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, წილობრივ მონაწილეობაში და ა.შ.) შეტანა წარმოებს „კომპანიის“ მესაკუთრეების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. „კომპანიის“ კაპიტალში საწესდებო კაპიტალის სახით გამოცხადებული კაპიტალის აღიარება წარმოებს „კომპანიის“ მესაკუთრეების შენატანების ოდენობით.

ყველა სხვა, ნაღდი ფულით ან ნატურალური ფორმით წარმოებული, „კომპანიის“ მესაკუთრეების შენატანების აღიარება, რომლებიც მიზნად ისახავს „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდას, მაგრამ არ არის ასახული „კომპანიის“ წესდებაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, წარმოებს გადახდილი კაპიტალის სახით.

დივიდენდები. დივიდენდები აისახება ვალდებულების სახით და გამოიქვითება კაპიტალიდან მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში.

მოგების გადასახადი. განხილულ პერიოდთან დაკავშირებული მოგების გადასახადზე ხარჯები მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია მუხლებთან, რომლებიც აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში. ამგვარ შემთხვევაში, მოგების გადასახადის აღიარება წარმოებს სხვა ერთობლივ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში, შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება წარმოებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის ფაქტიურად ან ძირითადად ძალაში შესული საგადასახადო საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახორციელებს საგადასახადო დეკლარაციებში წარმოდგენილი პოზიციების შეფასებას, იმ გარემოებებთან მიმართებით, რომლებშიც შესაბამისი საგადასახადო ნორმა ექვემდებარება ინტერპრეტაციას, და ადგენს შესაბამის ზომებს.

მოგების გადავადებული გადასახადის აღიარება, ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, წარმოებს იმ დროებითი სხვაობების საფუძველზე, რომლებიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო საფუძვლებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში მათ საბალანსო ღირებულებას შორის. მიუხედავად ამისა, თუ მოგების გადავადებულ გადასახადს ადგილი აქვს საწარმოების გაერთიანების გარდა ნებისმიერ სხვა გარიგებაში რაიმე აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების საფუძველზე, და ის, ამგვარი გარიგების დროს, არანაირ ზეგავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო მოგებასა და არც დაბეგვრად მოგებასა თუ ზარალზე, ის არ ექვემდებარება აღრიცხვას. მოგების გადავადებული გადასახადის დადგენა წარმოებს იმ საგადასახადო განაკვეთების (და საკანონმდებლო ნორმების) გამოყენებით, რომლებიც ფაქტიურად ან ძირითადად ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სავარაუდოდ გამოყენებულ იქნება შესაბამისი მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზაციისას ან შესაბამისი მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვისას.

მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს იმ მომავალი დაბეგვრადი მოგების მიღების შესაძლებლობას, რომლებთან მიმართებითაც შეიძლება დროებითი სხვაობების გამოყენება.

3 მომზადების საფუძველები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს კანონიერად აღსრულებად უფლებას, წარმოებულ იქნას მიმდინარე საგადასახადო აქტივების ჩათვლა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ხარჯზე, და როდესაც მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულ იქნა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ, როგორც ერთ დაბეგვრად საწარმოზე, ასევე სხვადასხვა დაბეგვრად საწარმოებზე იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ნეტო-საფუძველზე ნაშთების დაფარვის განზრახვას.

გამოუყენებელი ზარალის ან გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების საგადასახადო ეფექტის გადატანის აღიარება წარმოებს აქტივის სახით, როდესაც მოსალოდნელია მომავალი დაბეგვრადი მოგების მიღება, რომელთან მიმართებითაც შესაძლებელია აღნიშნული ზარალის გამოყენება.

სადაზღვევო ოპერაციები

- **სადაზღვევო ხელშეკრულებები - კლასიფიკაცია.** „კომპანია“ ფლობს ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სადაზღვევო რისკებს. სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენენ შეთანხმებებს, რომელთა საფუძველზე წარმოებს მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკების გადაცემა. ზოგადი წესის სახით, „კომპანია“ მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკების სახით ადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ისეთი ოდენობის სადაზღვევო ჯილდოს გადახდის ვალდებულების შესაძლებლობას, რომელიც 10% მაინც აღემატება სადაზღვევო შემთხვევის არდადგომის შემთხვევაში გადასახდელ საზღაურს.
- **ზარალი.** ზარალი, ზარალის დარეგულირების ხარჯების ჩათვლით, აისახება ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, მისი წარმოქმნისას. რეზერვები ზარალზე წარმოდგენილია ორი სახის რეზერვით: რეზერვი გატარებულ, მაგრამ დაურეგულირებულ ზარალზე და რეზერვი გაწეულ, მაგრამ გაუტარებელ ზარალზე. გატარებულ, მაგრამ დაურეგულირებულ ზარალზე რეზერვის გაანგარიშება წარმოებს ყოველ დაურეგულირებულ მოთხოვნასთან მიმართებით. ზარალის დაუდგენლობის შემთხვევაში, მისი მაქსიმალური შესაძლო ოდენობა, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისში მითითებულ სადაზღვევო ლიმიტს, აისახება გატარებულ, მაგრამ დაურეგულირებულ ზარალზე რეზერვის სახით. გაწეულ, მაგრამ გაუტარებელ ზარალზე რეზერვის გაანგარიშება წარმოებს „კომპანიის“ მიერ ბიზნესის ყოველ მიმართულებაზე, რაც მოიცავს დაშვებებს, რომლებიც ეფუძნება წინამორბედი წლების მოთხოვნებს და მოთხოვნების დარეგულირების გამოცდილებას. მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების დადგენის მიზნით გამოყენებული მეთოდებისა და დაშვებების გადახედვა წარმოებს რეგულარულად, რათა შემცირებულ იქნას სხვაობები, რომლებსაც ადგილი აქვთ გათვლით ზარალსა და ფაქტიურ ზარალს შორის. მუდმივად წარმოებს ამგვარი გათვლების დადგენისა და მომდევნო პირობების ჩამოყალიბების მეთოდების გადახედვა და განახლება. საბოლოო ცვლილებების ასახვა წარმოებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მათი წარმოქმნისას. ზარალზე რეზერვის დაანგარიშება წარმოებს არადისკონტირებულ საფუძველზე, რაც გამოწვეულია მოთხოვნებთან მიმართებით შეტყობინებისა და გადახდის შედარებით სწრაფი ხასიათიდან.
- **გადაზღვევა.** „კომპანია“ თავისი საქმიანობის შემადგენელი ნაწილის სახით გადასცემს გადაზღვევებს. გადაცემული გადაზღვევის კონტრაქტები არ ანთავისუფლებს „კომპანიას“ პოლისის მფლობელებისადმი არსებულ ვალდებულებებისაგან. გადაზღვევის დებიტორული დავალიანება მოიცავს გადახდილ მოთხოვნებზე ნაშთებს საგადაზღვევო კომპანიებში, მათ შორის მოთხოვნების დარეგულირების ხარჯებს და საკომისიოებზე დებიტორულ დავალიანებას. გადაზღვევის საფუძველზე მიღებადი თანხების დადგენა წარმოებს გადაზღვევის პოლისთან დაკავშირებული მოთხოვნის გათვალისწინებით. საგადაზღვევო კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს გადამზღვევულებისადმი გადაზღვევის პრემიების გადაცემაზე „კომპანიის“ ვალდებულებებს.

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- **გადავადებული აკვიზიციური ხარჯები.** აკვიზიციური ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ საკომისიოს, გადავადდება და ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ადგილი აქვს მოზიდული პრემიების მიღებას. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯი გაიწერება ხარჯებში მისი დადგომის შესაბამისად. გადავადებული აკვიზიციური ხარჯების გაანგარიშება წარმოებს ცალკე სახით საქმიანობის ყოველ მიმართულების მიხედვით, ხოლო მათი ანალიზი კი - საქმიანობის შესაბამისი მიმართულების მიხედვით შესაბამისი პოლისის გაცემის დროს და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ამოწურვისას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ამოღება სამომავლო შეფასებების საფუძველზე. აკვიზიციური ხარჯები ასახულია ნეტო-საფუძველზე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. აკვიზიციური ხარჯების გადავადება ცალკე სახით აღწერილია მე-16 განმარტებით შენიშვნაში.
- **ვალდებულების შესაბამისობის ტესტები.** ყოველი ბალანსის დღისათვის წარმოებს ვალდებულების შესაბამისობის ტესტების ჩატარება, გადავადებული აკვიზიციური ხარჯების შესაბამისი აქტივების გამოკლებით სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარი ტესტების ჩატარებისას გამოიყენება მომავალი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, მოთხოვნების დარეგულირების და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე როგორც აქტივების მეშვეობით ამგვარი ვალდებულებების დაფინანსებიდან საინვესტიციო შემოსავლის გათვლები. ყოველი არსებული დეფიციტი დაუყოვნებლივ აისახება მოგებას ან ზარალში, თავდაპირველად გადავადებული აკვიზიციური ხარჯების ჩამოწერით და, შემდგომ, ვალდებულების შესაბამისობის ტესტების საფუძველზე წარმოქმნად ზარალზე რეზერვის ჩამოყალიბებით (დამატებითი არამოწურული რისკების რეზერვი). ფიქსირებული ვადის მქონე, გრძელვადიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასება წარმოებს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესაბამისობის ტესტის საფუძველზე საჭიროა ახალი, უკეთესი დებულებების მიღება, ამგვარი დებულებები (საწინააღმდეგო ხასიათის ცვლილების შეზღუდვის გარეშე) გამოიყენება ამგვარი ვალდებულებების მომდევნო შეფასების მიზნით. აღნიშნული ტესტის შედეგად ჩამოწერილი, არანაირი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი არ ექვემდებარება შემდგომ აღდგენას.

აკვიზიციური ხარჯები. „კომპანია“ თავის აგენტებსა და ბროკერებს უხდის პირდაპირი გარიგებებისა და შემომავალი გადაზღვევის მოპოვების საკომისიოს. საკომისიოს აღნიშნული სახეობა აისახება სადაზღვევო საქმიანობის შედეგების ფარგლებში, ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში. საკომისიო ხარჯები გადავადდება და ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ადგილი აქვს მოზიდული პრემიების მიღებას. საკომისიო ხარჯების გადავადება ცალკე სახით აღწერილია მე-16 განმარტებით შენიშვნაში, აკვიზიციური ხარჯების სახით.

რეზერვები. რეზერვების ასახვა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიას“ გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან ფორმალური ვალდებულება გასული მოვლენების შედეგად, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემადგენელი სახსრების გადინების აუცილებლობა ამგვარი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად, და შესაძლებელია ამგვარი ვალდებულების ღირებულების სათანადო შეფასების განხორციელება.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი მოიცავს „კომპანიის“ საქმიანობის ფარგლებში მომსახურებაზე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი ასახულია გადასახადის, უკუგადახდების, ფასდაკლებებისა და დისკონტების გარეშე. „კომპანია“ აწარმოებს შემოსავლის აღიარებას, როდესაც შესაძლებელია შესაბამისი თანხის სათანადოდ დადგენა, მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება, და ქვემოასახულის თანახმად დაკმაყოფილებულია „კომპანიის“ ყოველი სახის საქმიანობის სპეციფიკური კრიტერიუმები. შემოსავლის ოდენობა არ განიხილება სათანადოდ დადგენადის სახით გაყიდვებთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების დაკმაყოფილებამდე. „კომპანია“ აწარმოებს შესაბამის შეფასებებს წინამორბედი შედეგების საფუძველზე, კლიენტის, ოპერაციის სახეობის და ყოველი გარიგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3 მოზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- **პრემიები.** ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტისათვის, პრემიები აისახება მოსალოდნელის სახით, ხოლო მათი მიღება, ძირითადად, წარმოებს შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში, პროპორციულად. პრემიების დაბრუნებადი ნაწილის რეზერვი წარმოადგენს პრემიების იმ ნაწილს, რომელიც გაწერილია წელიწადში, რომელიც დაკავშირებულია ბალანსის დღისათვის მოქმედი პოლისების ამოუწურავ ვადებთან, ხოლო მისი დაანგარიშება წარმოებს დროის შესაბამის პროპორციულ ოდენობებში.
- **საკომისიო შემოსავალი.** „კომპანია“ ღებულობს საკომისიოს გადამზღვევლებისთვის პრემიების გადაცემისათვის. საკომისიო შემოსავალი გადაცემული გადაზღვევის გარიგებებიდან, რომლებიც წარმოადგენენ აკვიზიციური ხარჯების დაფარვას, ამცირებს შესაბამის არამორტიზებულ აკვიზიციურ ხარჯებს, რის საფუძველზეც წარმოებს სუფთა აკვიზიციური ხარჯების კაპიტალიზაცია და ხარჯებში ასახვა სუფთა აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.
- **საპროცენტო შემოსავალი.** საპროცენტო შემოსავლის აღიარება წარმოებს დროის პროპორციული ინტერვალის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. რაიმე დებიტორული დავალიანების გაუფასურების შემთხვევაში, „კომპანია“ ახდენს მისი საბალანსო ღირებულების შემცირებას ამოღებადი თანხის ოდენობამდე, მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი ინსტრუმენტის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, და აგრძელებს აღნიშნული დისკონტის შემცირებას საპროცენტო შემოსავლის სახით. გაუფასურებულ სესხებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება წარმოებს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით.
- **რეგრესი.** რეგრესიდან შემოსავლის აღიარება წარმოებს მისი დადგომის და წარმოდგენის მიხედვით, „სხვა სადაზღვევო შემოსავლის“ სახით, ერთობლივი შემოსავლის შესახებ ანგარიშის თანახმად.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ახორციელებს თავის საქმიანობას. „კომპანიის“ სამუშაო და წარდგინების ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი გარიგებები ასახულია შესაბამისი გარიგების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსის თანახმად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი გარიგებების თანახმად ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი საკურსო სხვაობები ჩართულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ლარებში გადაყვანას, ბალანსის დღისათვის მოქმედი, „სებ“-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო მოგება და ზარალი, რომელთაც ადგილი აქვთ გარიგებების შესრულებისა და „სებ“-ის მიერ წლის ბოლოს დადგენილი სავალუტო კურსის გათვალისწინებით და სამუშაო ვალუტაში მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანის საფუძველზე, აისახება მოგებასა ან ზარალში. პერიოდის ბოლოს მოქმედი კურსით გადაყვანას არ ექვემდებარებიან არამონეტარული მუხლები, მათ შორის სააქციო კაპიტალდაბანდებები. წილობრივი ფასიანი ქაღალდების რეალურ ღირებულებაზე სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება რეალური ღირებულების გათვალისწინებით მოგებასა ან ზარალის ნაწილის სახით.

2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ნაშთების კონვერტაციის სავალუტო კურსი შეადგენდა USD 1 = GEL 1.7728 (2009: USD 1 = GEL 1.6858). ქართული ლარის სხვა ვალუტაში კონვერტაციასთან მიმართებით მოქმედებს საკურსო შეზღუდვები და კონტროლის საშუალებები. დღესდღეობით, ქართული ლარი არ წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთჩათვლას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა, წარმოებულ იქნას ურთიერთჩათვლა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

პერსონალთან მიმართებით გაწეული ხარჯები და მათთან დაკავშირებული ანარიცხები. ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები, გადახდილი ყოველწლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები ექვემდებარება დარიცხვას „კომპანიის“ თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წლის შესაბამისად.

4 მნიშვნელოვანი შეფასებები და პროფესიონალური მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

„კომპანია“ ახორციელებს შეფასებებსა და წარმოადგენს მოსაზრებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და პროფესიონალური მსჯელობები დგინდება განუწყვეტელი სახით და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების ვარაუდებს, რომელთა დადგომა შესაძლებელია გარკვეული გარემოებებისას. ხელმძღვანელობის მიერ, შეფასებების მომცველი პროფესიონალური მსჯელობების გარდა, ასევე წარმოდგენილია გარკვეული პროფესიონალური მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების მსვლელობისას. პროფესიონალური მსჯელობები, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

ზარალის რეზერვები. სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე დამდგარი ზარალის შედეგად წარმოქმნილი საბოლოო ვალდებულების შეფასება მოიცავს შესაბამისი მსჯელობების გამოყენებას. ზარალის რეზერვი წარმოადგენს დამდგარი ზარალის კრებსით შეფასებებს და მოიცავს რეზერვს გატარებულ, მაგრამ დაურეგულირებულ ზარალზე და რეზერვს გაწეულ, მაგრამ გაუტარებელ ზარალზე. რეზერვი გატარებულ, მაგრამ დაურეგულირებულ ზარალზე ჩამოყალიბებულია ბალანსის დღისთვის განცხადებულ, მაგრამ დაუფარავ ზარალთან დაკავშირებით. შეფასება წარმოებულია ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია „კომპანიის“ მიერ იმ სადაზღვევო შემთხვევების ანალიზის მსვლელობისას, რომლებიც ექვემდებარება დარეგულირებას ბალანსის დღის შემდგომ. გაწეულ, მაგრამ გაუტარებელ ზარალზე რეზერვის ჩამოყალიბება წარმოებს აქტუარული მეთოდების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი მაქსიმალური ზარალის კოეფიციენტების საფუძველზე ზარალის ზრდის მოდელის ჩამოყალიბების მიზნით. მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების დადგენის მიზნით გამოყენებული მეთოდებისა და დაშვებების გადახედვა წარმოებს რეგულარულად, რათა შემცირებულ იქნას სხვაობები, რომლებსაც ადგილი აქვთ გათვლით ზარალსა და ფაქტიურ ზარალს შორის. სადაზღვევო ზარალის რეზერვის შეფასებისას გამოყენებული დაშვებები წარმოდგენილია მე-20 განმარტებით შენიშვნაში, სადაზღვევო რისკების მართვის შესახებ წარმოდგენილ ნაწილში.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი. სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის ჩამოყალიბება წარმოებს ხელმძღვანელობის მიერ ცალკეული კლიენტების დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობის შეფასების საფუძველზე. შესაბამისი კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, მისი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ან გადახდისუნარიანობის შესაძლებლობა - ეს ის მაჩვენებლებია, რომლებიც მიუთითებენ შესაბამისი დებიტორული დავალიანების გაუფასურებაზე. შესაძლებელია სხვაობის წარმოქმნა ფაქტიურ შედეგებსა და შესაბამის შეფასებებს შორის, თუ ადგილი აქვს ძირითადი კლიენტის გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან მისი ფაქტიური გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები აღემატება შეფასებების თანახმად დადგენილ ოდენობებს.

4 მნიშვნელოვანი შეფასებები და პროფესიონალური მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანების თანხის ფარგლებში დამატებითი თანხის ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დებიტორული დავალიანების შესაბამისი თანხა ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის ფარგლებში.

გაუფასურებას დაქვემდებარებული სახით განხილული დებიტორული დავალიანების მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება წარმოებს აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და ხელმძღვანელობის ისეთი სახის გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია წარსული ზარალის შემთხვევის შედეგად მოსალოდნელი ვადაგადაცილებული თანხების ოდენობასთან და ვადაგადაცილებული თანხების წარმატებულ ამოღებასთან. არსებული გამოცდილების განახლება წარმოებს მიმდინარედ შემოწმებადი მონაცემების საფუძველზე, რათა ასახულ იქნას იმ არსებული გარემოებების ზეგავლენები, რომლებმაც ზემოქმედება არ იქონიეს წარსულ პერიოდებზე, და აღმოფხვრილ იქნას იმ წარსული გარემოებების ზეგავლენები, რომლებიც აღარ აღინიშნება მიმდინარე პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა. ადგილი აქვს საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვან განმარტებებს და საგადასახადო ორგანოების მხრიდან გასაჩივრებას. იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნა.

დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას „კომპანია“ დებს გარიგებებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. აღნიშნული გარიგებების შეფასება, ძირითადად, წარმოებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით. ამგვარ გარიგებებთან მიმართებით აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინებით განსაზღვრული ფასებით გარიგებების წარმოდგენის ფაქტის დადგენის მიზნით გამოიყენება შესაბამისი პროფესიონალური მსჯელობა. ამგვარი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს დაუკავშირებელ მხარეებს შორის გარიგებების მაგვარ სახეობებზე ფასთწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

5 ახალ და რედაქტირებულ სტანდარტებსა და განმარტებებზე გადასვლა

2010 წლის 1 იანვრიდან „კომპანიასთან“ მიმართებით ამოქმედდა შემდეგი ახალი სტანდარტები და განმარტებები:

„ფაგსკ 17“, არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეების სასარგებლოდ (მალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე განმარტებით განსაზღვრულია, თუ როდის და რა სახით უნდა იქნას წარმოებული მესაკუთრეებისადმი დივიდენდების სახით არაფულადი აქტივების გადაცემის აღიარება. მესაკუთრეზე დივიდენდების სახით არაფულადი აქტივების გადაცემაზე ვალდებულება სუბიექტმა უნდა შეაფასოს გასანაწილებელი აქტივების რეალური ღირებულებით. განაწილებული არაფულადი აქტივების გასხვისებიდან მიღებული მოგების ან ზარალის აღიარება წარმოებულ უნდა იქნას მოგებას ან ზარალში, როდესაც სუბიექტი აწარმოებს გადასახდელი დივიდენდების გადახდას. «ფაგსკ 17»-ს არანაირი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„ფაგსკ 18“, კლიენტებისაგან აქტივების გადმოცემა (მალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე განმარტებით განსაზღვრულია კლიენტებისაგან აქტივების გადმოცემის აღრიცხვა, კერძოდ, გარემოებები, როდესაც აქტივის დეფინიცია დაკმაყოფილებულია; აქტივის აღიარება და თავდაპირველი აღიარებისას მისი ღირებულების შეფასება; ცალკე სახით იდენტიფიცირებადი მომსახურებების (გადაცემული აქტივის სანაცვლოდ ერთი ან რამდენიმე მომსახურება) დადგენა; შემოსავლის აღიარება, კლიენტებისაგან ფულადი ნაკადების აღრიცხვა. «ფაგსკ 18»-ს არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ახალ და რედაქტირებულ სტანდარტებსა და განმარტებებზე გადასვლა (გაგრძელება)

„ბასს 27“, კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები (რედაქტირებულია 2008 წლის იანვარში; ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). რედაქტირებული „ბასს 27“-ის შესაბამისად სუბიექტი ვალდებულია მიაკუთვნოს მთლიანი ერთობლივი მოგება სათაო სუბიექტის მფლობელებსა და არასაკონტროლო წილებს („მინორიტარული წილები“) იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასაკონტროლო წილებში ადგილი აქვს დეფიციტური ნაშთის წარმოქმნას (წინამორბედი სტანდარტით უმეტეს შემთხვევაში სავალდებულოა ზეგანაკვეთური დანაკარგის განაწილება სათაო სუბიექტის მფლობელებს შორის). რედაქტირებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ შვილობილ კომპანიაში სათაო კომპანიის წილობრივი მონაწილეობის ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის უფლების დაკარგვას, ასახული უნდა იყოს კაპიტალთან დაკავშირებული გარიგებების სახით. აღნიშნული სტანდარტი ასევე ითვალისწინებს თუ, როგორ უნდა განახორციელოს სუბიექტმა შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვისას წარმოქმნილი რაიმე მოგების ან ზარალის შეფასება. კონტროლის დაკარგვის დღეს, ნებისმიერი ინვესტიცია, რომელიც შენარჩუნებულია ყოფილ შვილობილ კომპანიაში, შეფასებულ უნდა იქნას მისი რეალური ღირებულებით. «ბასს 27»-ს არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დასაშვები ხეჯირბული მუხლები - „ბასს 39“-ის ცვლილება, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება (ძალაშია უკუმოქმედებითი გამოყენებით 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). მოცემული ცვლილებით დადგენილია, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული გარკვეულ შემთხვევებში ხეჯირბული რისკის ან ფულადი ნაკადების ნაწილის გამოსაყენებლად დაშვებადობის დადგენის პრინციპები. ცვლილებას არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„ფასს 3“, საწარმოების გაერთიანება (რედაქტირებულია 2008 წლის იანვარში; ძალაშია საწარმოების გაერთიანებებთან მიმართებით, რომელთა შემენის დღე იწყება პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ან მას შემდეგ, რომელიც იწყება 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ). რედაქტირებული „ფასს 3“-ი ანიჭებს სუბიექტებს შესაძლებლობას საკუთარი მოსაზრების თანახმად განახორციელონ არასაკონტროლო წილების შეფასება წინამორბედი „ფასს 3“-ის მეთოდით (შესაძენი სუბიექტის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილი) ან რეალური ღირებულებით. რედაქტირებულ „ფასს 3“-ში გაცილებით დაწვრილებით წარმოდგენილია სახელმძღვანელო ინფორმაცია საწარმოების გაერთიანებებთან მიმართებით შემენის მეთოდის გამოყენების შესახებ. მოთხოვნა გუდვილის წილის დაანგარიშების მიზნით რაიმე ეტაპობრივი შემენის ყოველ ეტაპზე რეალური ღირებულებით ყოველი აქტივისა და ვალდებულების შეფასების განხორციელებაზე იქნა გაუქმებული. სანაცვლოდ, საწარმოების რაიმე ეტაპობრივი გაერთიანებისას, შემენი ვალდებული იქნება ხელახლა შეაფასოს შესაძენ სუბიექტში მის მფლობელობაში მანამდე არსებული მონაწილეობის თავისი წილი, შემენის დღეს არსებული რეალური ღირებულებით, და მოახდინოს მიღებული მოგებისა ან ზარალის, მათი არსებობის შემთხვევაში, აღიარება შესაბამისი წლის მოგებასა ან ზარალში. შემენასთან დაკავშირებული ხარჯები ასახულია საწარმოების გაერთიანებისგან ცალკე სახით და, შესაბამისად, აღიარებულია დანახარჯების, ვიდრე გუდვილში ჩართულის სახით. შემენი ვალდებულია შემენის დღეს მოახდინოს შემენაზე პირობით ანაზღაურებაზე ვალდებულების აღიარება. ამგვარი ვალდებულების ღირებულებაში ცვლილებები შემენის დღის შემდეგ აღიარებული იქნება სხვა შესაბამისი „ფასს“-ის თანახმად, ვიდრე გუდვილში ცვლილებების შეტანით. რედაქტირებული „ფასს 3“-ი ითვალისწინებს საწარმოების გაერთიანებებს, რომლებიც მოიცავს მხოლოდ ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილ ერთობლივ საწარმოებსა და საწარმოების გაერთიანებებს. რედაქტირებული „ფასს 3“-ს არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ნაღდი სახსრებით წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით საგადახდო ოპერაციები - „ფასს 2“-ის ცვლილებები, გადახდა წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით (ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე ცვლილებების თანახმად დადგენილია სრული საფუძველი, რომლის შესაბამისად წარმოებს წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით გადახდის ვალდებულებების კლასიფიცირება, როგორც კონსოლიდირებულ, ასევე ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში. წინამდებარე ცვლილებების

5 ახალ და რედაქტირებულ სტანდარტებსა და განმარტებებზე გადასვლა (გაგრძელება)

თანახმად, სტანდარტი მოიცავს გაუქმებული „ფაგს 8“-ს და „ფაგს 11“-ის საფუძველზე გათვალისწინებულ ინსტრუქციებს. ცვლილებებში ვრცლად წარმოდგენილია „ფაგს 11“-ის თანახმად გათვალისწინებული ინსტრუქციები იმ გეგმების განსახილველად, რომლებიც ადრე არ განიხილებოდა განმარტებების შესაბამისად. ცვლილებებში ასევე განმარტებულია აღნიშნული სტანდარტის დანართში მითითებული პირობები. ცვლილებებს არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„ფასს 1“, *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა* (2008 წლის დეკემბრის თვეში მიღებული ცვლილების თანახმად, ძალაშია იმ ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებით, რომლებიც პირველად იქნა მომზადებული „ფასს“-ის შესაბამისად, და იმ პერიოდებთან მიმართებით, რომლებიც იწყება 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ). რედაქტირებულ „ფასს 1“-ში შენარჩუნებულია მისი პირველი რედაქციის არსი გარკვეული ცვლილებებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი ჯეროვნად გაგება და მომდევნო ცვლილებების უკეთესად გამოყენება. რედაქტირებულ სტანდარტს არ ჰქონია არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადამსვლელი სუბიექტების დამატებითი პრივილეგიები - „ფასს 1“-ის ცვლილებები, *„ფასს“-ზე გადასვლა* (ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე ცვლილებების თანახმად სუბიექტები, რომლებიც იყენებენ სრული ღირებულების მეთოდს, თავისუფლდებიან „ფასს“-ის უკუქცევითი გამოყენებისგან ნავთობისა და გაზის პროდუქტებთან დაკავშირებულ აქტივებთან მიმართებით, ასევე როგორც მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებების მქონე სუბიექტები - მათი კლასიფიკაციის ხელმეორედ შეფასებისგან „ფასს 4“-ის თანახმად (გარიგებაში იჯარის ნიშნების არსებობის დადგენა) იმ შემთხვევაში, როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის ადგილობრივი წესების გამოყენების საფუძველზე ადგილი აქვს იგივე შედეგების მიღებას. აღნიშნულ ცვლილებებს არ ჰქონია არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებები (გამოცემულია 2009 წლის აპრილში, *„ფასს 2“-ის*, *„ბასს 38“-ის*, *„ფაგს 9“-ს* და *„ფაგს 16“-ის ცვლილებები ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით*; *„ფასს 5“-ის*, *„ფასს 8“-ს*, *„ბასს 1“-ს*, *„ბასს 7“-ის*, *„ბასს 17“-ის*, *„ბასს 36“-ის* და *„ბასს 39“-ის ცვლილებები ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით*). აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სტანდარტებისა და განმარტებების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დაზუსტებების სახით: დაზუსტება მასზე, რომ ერთობლივი კონტროლით გარიგებების სახით საქმიანობის წარმოება და ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება არ განიხილება „ფასს 2“-ის ფარგლებში; გასაყიდად განკუთვნილის სახით კლასიფიცირებულ არასაბრუნავ აქტივებთან (ან გამსვლელ ჯგუფებთან) ან შეწყვეტილ ოპერაციებთან მიმართებით „ფასს 5“-ის და სხვა სტანდარტების თანახმად დადგენილი განმარტებითი მონაცემების წარმოდგენაზე მოთხოვნების დაზუსტებები; ვალდებულება წარმოდგენილ იქნას „ფასს 8“-ს თანახმად საანგარიშგებო სეგმენტის მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი თანხები რეგულარულად წარედგინება გადაწყვეტილებების მიმღებ, შესაბამის პასუხისმგებელ პირს; „ბასს 1“-ის ცვლილება, რომლის საფუძველზე ნებადართულია სუბიექტის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით დაფარული გარკვეული ვალდებულებების არასაბრუნავების სახით კლასიფიკაცია; „ბასს 7“-ის ცვლილება მასზე, რომ საინვესტიციო საქმიანობის კლასიფიკაციაში შესაძლებელია მხოლოდ აქტივში აღიარებული ხარჯების გადატანა; გარკვეული გრძელვადიანი მიწის იჯარის კლასიფიკაცია „ბასს 17“-ს თანახმად ფინანსური იჯარის სახით, იჯარის ვადის ამოწურვისას მიწის შესაბამის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე; „ბასს 18“-ით განსაზღვრული დამატებითი ინსტრუქციები სუბიექტის, როგორც პრინციპალის ან აგენტის სახით, მოქმედების დადგენის თაობაზე; დაზუსტება „ბასს 36“-ში მასზე, რომ სახსრების მაგენერირებელი ერთეული არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის მოქმედ სეგმენტს გაერთიანებამდე; „ბასს 38“-ს დანართი საწარმოების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების დადგენის შესახებ; „ბასს 39“-ის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს (i) მის ფარგლებში ისეთი სახის ოპციონის კონტრაქტების ჩართვას, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ საწარმოების

5 ახალ და რედაქტირებულ სტანდარტებსა და განმარტებებზე გადასვლა (გაგრძელება)

გაერთიანებებზე, (ii) ფულადი ნაკადების ხეჯირების ინსტრუმენტების საფუძველზე მოგებისა ან ზარალის კაპიტალიდან მოგებასა ან ზარალში ხელახალი კლასიფიცირების ვადის დაზუსტებას, და (iii) რომლითაც განისაზღვრება, რომ წინასწარი გადახდის შესაძლებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითად შეთანხმებასთან, თუ შესრულებისას მსესხებელი ფლობს გამსესხებლის ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობას; „ფაგსკ 9“-ს ცვლილება, სადაც ჩამოყალიბებულია, რომ ერთობლივი კონტროლის საფუძველზე გარიგებებით შექმნილი, დაკავშირებული წარმოებული ინსტრუმენტები და ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება არ მოისაზრება „ფაგსკ 9“-ს ფარგლებში; „ფაგსკ 16“-ის ისეთი სახის დებულების გაუქმება, რომელიც ითვალისწინებდა ხეჯირებადი უცხოური ქვედანაყოფის მიერ ხეჯირების ინსტრუმენტების ფლობის შეზღუდვას. ასევე, წინამდებარე ცვლილებები, რომელთა თანახმად კლასიფიკაცია შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში, 2008 წლის მაისში გამოშვებული *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების წლიური ცვლილებების* ნაწილის სახით გამოქვეყნებული «ფასს 5»-ის შესაბამისად წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილის სახით, ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებთან მიმართებით. აღნიშნულ ცვლილებებს არ ჰქონია არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ მონაცემებში, წარმოდგენილ ცვლილებებსა და განმარტებებს არ ჰქონია არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები

გამოქვეყნებულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც სავალდებულოა „კომპანიის“, 2011 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ, ან უფრო გვიანდელ სააღრიცხვო პერიოდებთან მიმართებით, და რომლებზედაც „კომპანია“ ჯერ კიდევ არ არის გადასული:

„ფასს 9“, ფინანსური ინსტრუმენტები, ნაწილი 1: კლასიფიკაცია და შეფასება. „ფასს 9“ გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და ანაცვლებს „ბასს 39“-ის იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან. „ფასს 9“-ში ცვლილებები ასევე შეტანილ იქნა 2010 წლის ოქტომბერში, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან. წინამდებარე სტანდარტის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულ უნდა იქნან ორ შეფასებით კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან რეალური ღირებულებით, და ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან ამორტიზებული ღირებულებით. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება თავდაპირველი აღიარებისას. კლასიფიკაცია დამოკიდებულია სუბიექტის მიერ თავისი ფინანსური ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე და შესაბამისი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.
- ინსტრუმენტის შეფასება წარმოებს ამორტიზებული ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტს და (i) სუბიექტის ბიზნეს-მოდელის მიზანია შესაბამისი აქტივის შენარჩუნება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტების გადახდებს („ძირითადი სასესხო მახასიათებლები“). ყველა სხვა სავალო ინსტრუმენტი შეფასებულ უნდა იქნას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.
- ყველა წილობრივი ინსტრუმენტი შემდგომ შეფასებულ უნდა იქნას რეალური ღირებულებით. სავაჭროდ განკუთვნილი ყველა წილობრივი ინსტრუმენტი შემდგომ შეფასებულ უნდა იქნას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ყველა სხვა წილობრივ ინვესტიციასთან მიმართებით შეიძლება წარმოებულ იქნას საბოლოო შერჩევა თავდაპირველი აღიარებისას, რათა აღიარებულ იქნას არარეალიზებული და რეალიზებული რეალური ღირებულების მოგება და ზარალი სხვა ერთობლივ შემოსავალში, ვიდრე მოგებასა ან ზარალში. დაუშვებელია რეალური ღირებულების მოგებისა და ზარალის მოგებასა ან ზარალში გამოყენება. აღნიშნული შერჩევა შეიძლება წარმოებულ იქნას „თითოეული ინსტრუმენტი“-ს პრინციპით. დივიდენდები ექვემდებარება მოგებას ან ზარალში წარმოდგენას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ინვესტიციაზე შემოსავალს.
- «ბასს 39»-ით განსაზღვრული მოთხოვნების უმეტესი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან, უცვლელად პროლონგირებულ იქნა «ფასს 9»-თან მიმართებით. ძირითად ცვლილებას წარმოადგენს საწარმოსადმი მოთხოვნა, მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების თავის საკრედიტო რისკებში ცვლილებების შედეგები წარმოადგინოს სხვა ერთობლივ შემოსავალში.

მიუხედავად იმისა, რომ „ფასს 9“-ზე გადასვლა სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვრიდან, დასაშვებია მასზე აღნიშნულ თარიღამდე გადასვლა. „კომპანია“ განიხილავს აღნიშნული სტანდარტების შედეგებს, მის ზეგავლენას „კომპანიაზე“ და „კომპანიის“ მიერ მასზე გადასვლის ვადებს.

უფლებების შეთავაზების კლასიფიკაცია - „ბასს 32“-ის ცვლილება (გამოცემულია 2009 წლის 8 ოქტომბერს; ძალაშია 2010 წლის 1 თებერვალს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე ცვლილების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში ამონაგების მქონე აქციებზე უფლებების გარკვეული შეთავაზებები ამოღებულ იქნა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციიდან. «კომპანიის» ვარაუდით წინამდებარე ცვლილებებს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

„ბასს 24“-ის ცვლილება, დაკავშირებული მხარის განმარტებითი მონაცემები (გამოცემულია 2009 წლის ნოემბერში და ძალაშია 2011 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). „ბასს 24“ რედაქტირებულ იქნა 2009 წელს, რაც გამოიხატება შემდეგში: (ა) დაკავშირებული მხარის დეფინიციის გამარტივება, მისი განსაზღვრული მნიშვნელობის დაზუსტება და შეუსაბამობების ამოღება; და (ბ) სამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული სუბიექტების ნაწილობრივი განთავისუფლება ინფორმაციის განმჟღავნების შესახებ მოთხოვნებისაგან. «კომპანიის» ვარაუდით წინამდებარე ცვლილებებს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

«ფაგსკ 19», ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით (ძალაშია 2010 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე სტანდარტის თანახმად განისაზღვრება აღრიცხვის მეთოდები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საწარმო აწარმოებს სავალო ვალდებულებების პირობების გადახედვას, რის შედეგად ვალდებულება იფარება კრედიტორის მისამართით დებიტორის მიერ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების ხარჯზე. «კომპანიის» ვარაუდით «ფაგსკ 19»-ს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დაფინანსებისადმი მინიმალური მოთხოვნების წინასწარი გადახდები – "ფაგსკ 14"-ის ცვლილება (ძალაშია 2011 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). წინამდებარე ცვლილებას გააჩნია შეზღუდული სახის ზეგავლენა, ვინაიდან ის გამოიყენება მხოლოდ იმ კომპანიებთან მიმართებით, რომლებსაც მოეთხოვება მინიმალური დაფინანსების შენატანების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული საპენსიო გადახდების მქონე საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში. მის საფუძველზე წარმოებს "ფაგსკ 14"-ის იმ გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილება, რომლებიც დაკავშირებულია ნებაყოფლობითი სახის საპენსიო წინასწარ გადახდებთან, როდესაც ადგილი აქვს დაფინანსებისადმი მინიმალურ მოთხოვნას. «კომპანიის» ვარაუდით წინამდებარე ცვლილებებს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებები (გამოცემულია 2010 წლის მაისში, ძალაშია 2011 წლის 1 იანვარიდან). აღნიშნული ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სტანდარტებისა და განმარტებების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დაზუსტებების სახით: «ფასს 1»-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად (i) ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების თანახმად დადგენილი საბალანსო ღირებულება გამოყენებულ იქნას ქონების, დანადგარის ერთეულის ან არამატერიალური აქტივის პირობითი ღირებულების სახით, თუ ამგვარი ერთეული გამოყენებულ იქნა განაკვეთის დარეგულირებას დაქვემდებარებულ ოპერაციებში, (ii) ნებადართულია მოვლენებზე დაფუძნებული გადაფასება გამოყენებულ იქნას ქონების, დანადგარის პირობითი ღირებულების სახით, თუ ამგვარ გადაფასებას ადგილი აქვს «ფასს»-ის სტანდარტების თანახმად წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგებაში განხილული პერიოდის განმავლობაში და (iii) სტანდარტებზე პირველად გადამსვლელი პირისგან მოითხოვება «ფასს»-ის თანახმად წარმოდგენილი მისი პირველ შუალედურ ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის სააღრიცხვო მეთოდების ან «ფასს 1»-ით განსაზღვრულ დაშვებებს შორის ცვლილებების შესახებ განმარტებების წარმოდგენა; «ფასს 3»-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად (i) სავალდებულო ხასიათს ატარებს იმ არასაკონტროლო წილების შეფასება რეალური ღირებულებით (თუ სხვა სახის შეფასება არ არის სავალდებულო «ფასს»-ის სხვა სტანდარტების თანახმად), რომლებიც არ წარმოადგენენ საკუთრების უფლებას ან არ ანიჭებენ მფლობელს უფლებებს ლიკვიდაციის შემთხვევაში წმინდა აქტივებში პროპორციულ წილზე, (ii) განმარტებულია მითითებები შესაძენი სუბიექტის წილობრივი გადახდებით წარმოებულ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იქნა ჩანაცვლებული ან ნებაყოფლობით იქნა ჩანაცვლებული საწარმოების გაერთიანების შედეგად და (iii) განისაზღვრება, რომ «ფასს 3»-ის რედაქტირებული ვერსიის ძალაში შესვლამდე (გამოცემულია 2008 წლის იანვარში) განხორციელებული საწარმოების გაერთიანებებიდან სავარაუდო ანაზღაურებები აღრიცხულ იქნება «ფასს 3»-ის წინამორბედ რედაქციაში წარმოდგენილი მითითებების თანახმად; «ფასს 7»-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

თანახმად განსაზღვრულ იქნა განმარტებით მონაცემებთან დაკავშირებული გარკვეული მოთხოვნები, კერძოდ (i) განსაკუთრებული ხაზი გაესვა ფინანსური რისკების ტიპის და ოდენობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ განმარტებით მონაცემებს, (ii) გაუქმებულ იქნა იმ ხელშეკრულებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებული განმარტებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდნენ ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული, (iii) ჩანაცვლებულ იქნა უზრუნველყოფის რეალური ღირებულების შესახებ განმარტებითი მონაცემების წარმოდგენის თაობაზე მოთხოვნა გაცილებით ზოგადი ხასიათის მოთხოვნით მისი ფინანსური შედეგების შესახებ განმარტებითი მონაცემების წარმოდგენის თაობაზე, და (iv) დადგინდა, რომ საწარმო ვალდებულია წარმოადგინოს საანგარიშგებო დღისათვის დაკავებული მიქცეული უზრუნველყოფის ღირებულების და არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული თანხის შესახებ განმარტებითი მონაცემები; «ბასს 27»-ში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმად განმარტებულ იქნა (2008 წლის იანვარში) რედაქტირებული «ბასს 27»-ის საფუძველზე «ბასს 21»-ის, «ბასს 28»-ს და «ბასს -31»-ის ცვლილებებთან დაკავშირებული გარდამავალი წესები; «ბასს 34»-ში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმად შემოღებულ იქნა იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ოპერაციების დამატებითი ნიმუშები, რომელთა შესახებ სავალდებულოა განმარტებითი მონაცემების წარმოდგენა მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშში, და რომლებიც მოიცავენ გადასვლებს რეალური ღირებულების სტრუქტურის ფარგლებში, ცვლილებებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში ან ცვლილებებს ბიზნეს ან ეკონომიკურ გარემოში, რაც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების მაჩვენებლებზე; ცვლილებები ასევე შეტანილ იქნა «ფაგკ 13»-ში, რომელთა თანახმად დადგინდა საპრიზო ქულების რეალური ღირებულების შეფასების მეთოდი. «კომპანიის» ვარაუდით წინამდებარე ცვლილებებს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პირველად გადამსვლელი კომპანიებისთვის «ფასს 7»-ის თანახმად განსაზღვრული შედარებითი განმარტებითი მონაცემების წარმოდგენისგან შეზღუდული განთავისუფლება - «ფასს 1»-ს ცვლილება (ძალაშია 2010 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). მოქმედი სტანდარტი ითვალისწინებს განთავისუფლებას «ფასს 7»-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი ინფორმაცია) 2009 წლის მარტის ცვლილებების თანახმად მოთხოვნილი, ახალ განმარტებით მონაცემებთან მიმართებით შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენისგან. «ფასს 1»-ის აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, პირველად გადამსვლელებთან მიმართებით მოქმედებს იგივე გარდამავალი დებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია «ფასს 7»-ის ცვლილებაში. «კომპანიის» ვარაუდით წინამდებარე ცვლილებებს არ ექნება არანაირი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი მონაცემები - ფინანსური აქტივების გადაცემა - «ფასს 7»-ის ცვლილებები (გამოქვეყნებულია 2010 წლის ოქტომბერში და ძალაშია 2011 წლის 1 ივლისს და მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). აღნიშნული ცვლილების თანახმად, სავალდებულოა დამატებითი განმარტებითი მონაცემების წარმოდგენა გადაცემული ფინანსური აქტივების საფუძველზე წარმოქმნილ რისკიანობასთან დაკავშირებით. ცვლილება მოიცავს ისეთი სახის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კლასის მიხედვით იმ ფინანსური აქტივების ტიპის, საბალანსო ღირებულების და რისკებისა და ანაზღაურებების შესახებ განმარტებითი მონაცემების წარმოდგენას, რომლებიც გადაცემულ იქნა მეორე მხარისთვის, თუმცა ჯერ კვლავ აღირიცხება საწარმოს ბალანსზე. აღნიშნული განმარტებითი მონაცემები ასევე საჭიროა, რათა შესაბამის განმხილველ პირს მიეცეს საშუალება, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულებების ოდენობის და შესაბამის ფინანსურ აქტივებსა და დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებს ფინანსური აქტივების ხელშეკრულებული აღიარება და შესაბამისი საწარმო კვლავ ექვემდებარება იმ გარკვეული რისკებისა და ანაზღაურებების ზეგავლენას, რომლებიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან, სავალდებულოა ამგვარი რისკების შედეგების ამსახველი დამატებითი განმარტებითი მონაცემების წარმოდგენა. «კომპანიის» ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ცვლილების რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ არის სავარაუდო.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

საბაზო აქტივების ანაზღაურება – „ბასს 12“-ს ცვლილებები (გამოქვეყნებულია 2010 წლის დეკემბერში და ძალაშია 2012 წლის 1 იანვარს და მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). მოცემული ცვლილების თანახმად შემოღებულია ზოგადი ხასიათის დაშვება, რეალური ღირებულებით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონების ანაზღაურება წარმოებულ იქნას მხოლოდ გაყიდვის მეშვეობით. აღნიშნული დაშვება არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საინვესტიციო ქონება ეკუთვნის საწარმოს, რომელიც მიზნად ისახავს, განხილულ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული ყველა ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა სახით. „ფაგსკ 21“, „მოგების გადასახადები - გადაფასებული არაამორტიზებადი აქტივების ანაზღაურება“, სადაც განხილულია მაგვარი საკითხები, რომელიც მოიცავს არაამორტიზებად აქტივებს, რომლებიც შეფასებულია „ბასს 16“-ში მოცემული გადაფასების მოდელის მიხედვით, განიხილება „ბასს 12“-ის თანახმად მას შემდეგ, რაც აღნიშნული სტანდარტიდან ამოღებულ იქნა რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონება. «კომპანიის» ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ცვლილების რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ არის სავარაუდო.

მაღალი ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული თარიღების გაუქმება პირველად გადამსვლელი პირებისთვის – "ფასს 1"-ის ცვლილებები (გამოცემულია 2010 წლის დეკემბერში და ძალაშია 2011 წლის 1 ივლისს ან მას შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებთან მიმართებით). მაღალ ჰიპერინფლაციასთან დაკავშირებული წინამდებარე ცვლილების საფუძველზე დგინდება დამატებითი შეღავათი იმ შემთხვევასთან მიმართებით, როდესაც საწარმო, რომელმაც განიცადა მაღალი ჰიპერინფლაციის ზეგავლენა, ანახლებს ან პირველად წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას "ფასს"-ის შესაბამისად. აღნიშნული შეღავათი საშუალებას აძლევს საწარმოს, გარკვეული აქტივები და ვალდებულებები შეაფასოს რეალური ღირებულებით და ამგვარი რეალური ღირებულება "ფასს"-ის თანახმად წარმოდგენილ, ფინანსური მდგომარეობის შესახებ საწყის ანგარიშგებაში გამოიყენოს პირობითი ღირებულების სახით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ფასსს") მიერ ასევე შეტანილ იქნა ცვლილებები "ფასს 1"-ში, რომლის თანახმად ანულირდება მითითებები ფიქსირებულ თარიღებზე ერთ გამონაკლისსა და ერთ შეღავათთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან. პირველი ცვლილების თანახმად, პირველად გადამსვლელი პირებისგან მოითხოვება "ფასს"-ის თანახმად განსაზღვრული აღიარების შეწყვეტის შესახებ მოქმედი მოთხოვნების გამოყენება მომავალში გადასვლის თარიღიდან, ვიდრე 2004 წლის 1 იანვრიდან. მეორე ცვლილება დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებსა თუ ვალდებულებებთან იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური ღირებულება დადგენილია შეფასების მეთოდებით თავდაპირველი აღიარებისას, და იძლევა საშუალებას აღნიშნული მითითებები გამოყენებულ იქნან მომავალში "ფასს"-ზე გადასვლის დღიდან, ვიდრე 2002 წლის 25 ოქტომბრიდან ან 2004 წლის 1 იანვრიდან. ზემოაღნიშნულის თანახმად, პირველად გადამსვლელ პირს არ დაეკისრება ვალდებულება, დაადგინოს გარკვეული ფინანსური აქტივისა თუ ვალდებულების რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას იმ პერიოდებთან მიმართებით, რომლებიც წინ უსწრებენ "ფასს"-ზე გადასვლის თარიღს. "ფასს 9"-ში ასევე იქნა შეტანილი აღნიშნული ცვლილებების ამსახველი ცვლილებები. „ფასს 10“, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ ანაცვლებს „ბასს 27“-ში (კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგება) და „ფაგსკ 12“-ში (კონსოლიდაცია - მიზნობრივი საწარმოები) კონტროლსა და კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ მითითებებს. „ფასს 10“-ს თანახმად იცვლება კონტროლის დეფინიცია ისეთი სახით, რომ მაგვარი კრიტერიუმების გამოყენება წარმოებს ყველა საწარმოსთან მიმართებით, კონტროლის დადგენის მიზნით.

„ფასს 11“-ს საფუძველზე, „ერთობლივი შეთანხმებები“, ჩანაცვლებულ იქნა „ბასს 31“, „მონაწილეობა ერთობლივ საწარმოებში“ და „ფაგსკ 13“, „ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები - ერთობლივ მეწარმეობაში მონაწილეების არამონეტარული შენატანები“. დეფინიციებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ერთობლივი შეთანხმებების ტიპების რაოდენობა შემცირდა ორამდე: ერთობლივი ოპერაციები და ერთობლივი საწარმოები. გაუქმებულ იქნა ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების პროპორციული კონსოლიდაციის არსებული მეთოდი. წილობრივი მონაწილეობის აღრიცხვა სავალდებულო ხასიათს ატარებს ერთობლივი საწარმოების მონაწილეებისათვის.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

„ფასს 12“ „სხვა კომპანიებში ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა“ გამოიყენება იმ საწარმოებთან მიმართებით, რომლებსაც გააჩნიათ წილობრივი მონაწილეობა შვილობილ საწარმოში, ერთობლივ შეთანხმებაში, ასოცირებულ კომპანიაში ან არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ ერთეულში. „ფასს 12“-ის საფუძველზე ჩანაცვლებულ იქნა ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ მოთხოვნები, რომლებიც, მიმდინარედ, გაწერილია „ბასს 28“-ში, „ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში“. „ფასს 12“-ის თანახმად საწარმოები ვალდებული არიან წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების განმხილველ პირებს, შეაფასონ შვილობილ საწარმოებში, ასოცირებულ კომპანიებში, ერთობლივ შეთანხმებებსა და არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ ერთეულებში კომპანიის წილების სახეობა, რისკები და ფინანსური შედეგები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მოქმედებს ახალი მოთხოვნა ისეთი სახის მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და დაშვებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, რომელთა საფუძველზე დადგენილ იქნება სხვა კომპანიებში საწარმოს წილებთან დაკავშირებით კონტროლის, ერთობლივი კონტროლის თუ სხვა მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლებები.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად „ბასს 27“-ს დასახელება შეიცვალა და მას ეწოდა „ცალკე ფინანსური ანგარიშგება“. ის კვლავ გამოიყენება მხოლოდ ცალკე ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით. ცალკე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მოქმედი მითითებები რჩება უცვლელი.

„ფასს 13“, „რეალური ღირებულების შეფასება“, მიზნად ისახავს თანმიმდევრობის გაუმჯობესებას და სირთულეების შემცირებას, რეალური ღირებულების ცალსახა დეფინიციისა და რეალური ღირებულების შეფასებისა და მასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენის ერთი წყაროს უზრუნველყოფით, „ფასს“-თან მიმართებით შემდგომი გამოყენების მიზნით.

თუ საწინააღმდეგო სახით არ არის განსაზღვრული ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებში, ახალი სტანდარტები და განმარტებები სავარაუდოდ არ იქონიებენ მნიშვნელოვან ზეგავლენას «კომპანიის» ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2010 წლის 31 დეკემბერი
 თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები სალაროში	7	22,043
საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკებში	2,377,454	394,336
სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადის მქონე ვადიანი ანაზრები	2,068,363	1,630,000
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,445,824	2,046,379

2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკებში	სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადის მქონე ვადიანი ანაზრები	სულ
<i>მიმდინარე და არაგაუფასურებული</i> საქართველოს ბანკი - რეიტინგით B+ სტაბილური(Fitch Ratings)	-	211,000	211,000
ვითიბი ბანკი - რეიტინგით BB-პოზიტიური (Fitch Ratings)	-	211,000	211,000
დაკავშირებული ბანკი (სს „პრივატბანკი“) - რეიტინგის გარეშე	2,377,454	1,646,363	4,023,817
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (სალაროში ფულადი სახსრების გარდა)	2,377,454	2,068,363	4,445,817

2009 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკებში	სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადის მქონე ვადიანი ანაზრები	სულ
<i>მიმდინარე და არაგაუფასურებული</i> დაკავშირებული ბანკი (სს „პრივატბანკი“) - რეიტინგის გარეშე	394,336	1,630,000	2,024,336
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (სალაროში ფულადი სახსრების გარდა)	394,336	1,630,000	2,024,336

ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ წარმოდგენილია განმარტებით შენიშვნაში.

შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2010 წლის 31 დეკემბერი

თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარებში

8 სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

	2010 წლის 31 თვეობრივი	2009 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2008 წლის 31 თვეობრივი
პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	3,113,020	6,141,393	1,031,568
გადაცემული გადაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	141,145	544,606	300,715
გაუფასურებაზე რეზერვის გარეშე	(137,034)	(48,654)	-
სულ დებიტორული დავალიანება	3,117,131	6,637,345	1,332,283
მიმდინარე ნაწილი	3,117,131	2,912,845	1,332,283
გრძობადიანი ნაწილი	-	3,724,500	-

2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვში არსებული ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	სულ
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი 2010 წლის 1 იანვრისთვის არსებული მდგომარეობით	48,654	48,654
წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვი	88,380	88,380
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით	137,034	137,034

2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვში არსებული ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	სულ
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი 2009 წლის 1 იანვრისთვის არსებული მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვი	48,654	48,654
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით	48,654	48,654

8 სადაზღვევო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2010 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით, საკრედიტო ხარისხის თანახმად კლასებად დაყოფილი სადაზღვევო დებიტორული დავალიანების ვადების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	გადაცემული დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	სულ
<i>მიმდინარე და არაგააფასურებული</i>	2,796,277	141,145	2,937,421
<i>გაუფასურებას დაქვემდებარებულების სახით ინდივიდუალურად დადგენილი ნაშთები</i>			
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	38,635	-	38,635
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	69,125	-	69,125
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებით	68,850	-	68,850
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	140,134	-	140,134
<i>სულ გააფასურებული</i>	316,744	-	316,744
გააფასურებაში რიზირვის გარეშე	(137,034)	-	(137,034)
სულ სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	2,975,987	141,145	3,117,131

2009 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით, საკრედიტო ხარისხის თანახმად კლასებად დაყოფილი სადაზღვევო დებიტორული დავალიანების ვადების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	გადაცემული დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	სულ
<i>მიმდინარე და არაგააფასურებული</i>	5,234,569	544,606	5,779,175
<i>გაუფასურებას დაქვემდებარებულების სახით ინდივიდუალურად დადგენილი ნაშთები</i>			
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	740,109	-	740,109
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	47,701	-	47,701
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებით	38,661	-	38,661
- 180-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებით	69,856	-	69,856
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	10,497	-	10,497
<i>სულ გააფასურებული</i>	906,824	-	906,824
გააფასურებაში რიზირვის გარეშე	(48,654)	-	(48,654)
სულ სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	6,092,739	544,606	6,637,345

8 სადაზღვევო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2008 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით, საკრედიტო ხარისხის თანახმად კლასებად დაყოფილი სადაზღვევო დებიტორული დავალიანების ვადების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	პირდაპირი დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	გადაცემული დაზღვევის ოპერაციების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება	სულ
<i>მიმდინარე და არაგაუფასურებული</i>	1,031,568	300,715	1,332,283
სულ სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	1,031,568	300,715	1,332,283

2010, 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით სადაზღვევო დებიტორული დავალიანების რეალური ღირებულება შეადგენდა 3,117,131, 6,123,621 და 1,332,283 ლარს, შესაბამისად.

9 სხვა აქტივები

	2010 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებუ ლი)	2008 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება რეგრესის საფუძველზე	74,782	317,930	121,075
წინასწარი გადახდები	39,157	18,868	12,049
დაზიანებული ავტომობილები	23,458	9,811	-
მისაღები პროცენტი	-	60,355	18,493
სხვა აქტივები	2,689	15,043	10,696
სხვა აქტივების გაუფასურებაზე რეზერვის გარეშე	(75,830)	(75,830)	
სულ	64,256	346,177	162,313
მიმდინარე ნაწილი	64,256	346,177	162,313
გრძელვადიანი ნაწილი	-	-	-

